ხელშეკრულება N 09 - ბ/18
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი)

ქ. თბილისი

29 მარტი, 2018 წ.

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს მელიორაცია"** (მის: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6), წარმოდგენილი - მისი გენერალური დირექტორის არჩილ ბუკიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **შპს „ქსელმშენი"** (იურიდიული მის: თბილისი, კურნატოვის შესახვევი, №3) წარმოდგენილი - მისი დირექტორის დავით ბეგოიძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა შესაბამისად, შემსყიდველმა გამოაცხადა ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი **ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა"-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენის სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება შემდეგ თანხაზე: **322'285.65 (სამას ოცდაორი ათას ორას ოთხმოცდახუთი ლარი და 65 თეთრი) ლარი** (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება").

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.2. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (MEP180000001).

1.3. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების 2,2 პუნქტში მითითებული ტენდერისათვის, წარმოდგენილი, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:

- **1.3.1.** სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1).
- **1.3.2.** სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი (დანართი №2).
- **1.3.3.** ანგარიშსწორების პირობები და ვადები (დანართი №3).
- **1.3.4.** ტექნიკური პირობა (დანართი №4).
- **1.3.5.** საგარანტიო პირობები და ვადები (დანართი №5).
- **1.3.6.** ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (შემდგომში "საბანკო გარანტია").

1.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს **ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა"-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენის სამუშაოები** (შემდგომში "სამუშაო"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 45300000.

2.3. შესასრულებელი სამუშაო(ები)ს კონკრეტული დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება სამუშაოს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი №1).

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.

3.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს **კონტრაქტების ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თამაზ ხვედელიძე** (შემდგომში "ინსპექტირების განმახორციელებელი პირი").

3.3. ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

- **3.3.1.** გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ვადების დაცვას;
- **3.3.2.** დაადგინოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- **3.3.3.** გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს მიღება.

4. სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი

მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოს შესრულება განახორციელოს სამუშაოს შესრულების ვადებისა და ადგილის შესაბამისად (დანართი №2).

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „საქართველოს მელიორაცია"	შპს „ქსელმშენი"
_____	_____
არჩილ ბუკია	დავით ბეგოიძე
გენერალური დირექტორი	დირექტორი

ქ. თბილისი

29 მარტი, 2018 წ.

5.1. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს აქტი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამუშაოს (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

5.4. სამუშაოს მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება სამუშაოს შესრულების ადგილზე.

5.5. სამუშაოს (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესაბამისად (დანართი №3).

6.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 9.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოსა და დანართ N2-ში მითითებული საჯარიმო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

6.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7. საგარანტიო პირობები და ვადები

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება სამუშაოს შესრულების ტექნიკურ პირობებს (დანართი №4).

7.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას შესრულებულ სამუშაოზე, საგარანტიო პირობისა და ვადების შესაბამისად (დანართი №5).

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში (თუ დანართი №5-ით კონკრეტული ვადა არ არის გათვალისწინებული) განახორციელოს წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7.4. მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

8.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

8.1.3. 8.2 უნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

8.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

8.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

8.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას;

8.2.4. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

8.2.5. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.07 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

„შემსყიდველი"
შპს „საქართველოს მელიორაცია"

არჩილ ბუკია
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „ქსელმშენი"

დავით ბეგოიძე
დირექტორი

9.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: სამუშაოს შესრულების ვადებით გათვალისწინებული, საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს მთლიანი სამუშაოს ღირებულების 0.07 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

9.4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

9.4.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 9.4.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

9.4.3. ხელშეკრულების 9.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია

12.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულია მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია მთლიანი სახელშეკრულებო თანხის **2.5 პროცენტის** ოდენობით, რომლის ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

12.2. შემსყიდველის მიერ აღნიშნული საბანკო გარანტიის გამოყენების და დაბრუნების პირობები მოცემულია ხელშეკრულების 13.3 და 13.4 პუნქტებში.

12.3. შემსყიდველი უფლებამოსილია საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში მიმართოს გარანტს და მოითხოვოს საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდა თუ:

12.3.1. ხელშეკრულება შეწყდა 8.2 პუნქტის შესაბამისად;

12.3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულად შესრულება.

12.4. საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება:

12.4.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას;

12.4.2. ხელშეკრულების 9.4.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

13.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

„შემსყიდველი"
შპს „საქართველოს მელიორაცია"

არჩილ ბუკია
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „ქსელმშენი"

დავით ბეგოიძე
დირექტორი

ქ. თბილისი

29 მარტი, 2018 წ.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
შპს „საქართველოს მელიორაცია"
მის: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6
ტელ: (995 32) 2 480 100.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE42TB7484736020100003; ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568

„მიმწოდებელი"
შპს „ქსელმშენი"
მის: თბილისი, კურნატოვის შესახვევი, №3
ტელ: (995 577) 316 100.
სს პროკრედიტ ბანკი
ა/ა GE71PC0423600100000844; ბანკის კოდი: MIBGGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 200258620

„შემსყიდველი"
შპს „საქართველოს მელიორაცია"

არჩილ ბუკია
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „ქსელმშენი"

დავით ბეგოიძე
დირექტორი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა"-ს
სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა ნაკრები
წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა

„---------შპს „ქსელმშენი"---------"
(პრეტენდენტის დასახელება)
„_13__"__მარტი___ 2018 წ.
(შევსების თარიღი)

სატენდერო წინადადების ფასი 322.285.65 ლარი
(თანხა ციფრებით)
(სამას ოცდაორიათას ორასოთხმოცდახუთი ლარი 65თ)
(თანხა სიტყვიერად)

რიგ. №	საობიექტო-სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება №	თავების, ობიექტების, სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	მთლიანი ღირებულება ათასი ლარი
1	2	3	4
		თავი 2. საწარმოო დანიშნულების ძირითადი ობიექტები	
1	2-1	ГКТП-2500-10/6 კვ ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე	154.90767
2	2-2	6 კვ ძაბვის გამანაწილებელი უჯრედის (სატუმბო სადგურში) მონტაჟზე	0.66920
3	2-3	110/35/10 კვ ძაბვის ქვ/ს „ახალქალაქი" ეგხ „ორჯა"-ს მონტაჟზე	0.12000
4	2-4	10 kV ძაბვის ეგხ „ორჯა"-ს რეაბილიტაციაზე	30.72370
5	2-5	10/6 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზის მშენებლობაზე	6.85265
6	2-6	10 კვ ძაბვის ეგხ-ს მშენებლობაზე	71.89516
		ჯამი:	265.16838
9		გაუთვალისწინებელი სამუშაოები და ხარჯები 3%	*7.95505*
		ჯამი	*273.12343*
10		**დ. ღ. გ. 18%**	*49.16222*
11		**სულ ჯამი**	*322.28565*

შპს "ქსელმშენის დირექტორი" დავით ბეგოიძე

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს
სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი საობიექტო ხარჯთაღრიცხვა #2-1

ГКТП-2500-10/6 კვ ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე

№ რ/მ	ლოკალური ხარჯთაღრიცხვის ნომერი	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	ღირებულება ათ. ლარი
1	2	3	4
1	#2 -1-1	ГКТП-2500-10/6 კვ ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის საძირკვლის მოწყობის სამშენებლო სამუშაოებზე	0.063
2	#2 - 1 - 2	ГКТП-2500-10/6 კვ ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის მონტაჟზე	5.770
3	#2 -1 - 3	ГКТП-2500-10/6 კვ ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის დანადგარების ღირებულებაზე	148.700
2	#2 - 1 - 4	კსქ-ს სატრანსფორმატოროს დამიწების კონტურის მოსაწყობად გრუნტის დამუშავებაზე	0.034
3	#2 -1 - 5	კსქ-ს სატრანსფორმატოროს დამიწების კონტურის მონტაჟზე	0.341
		ჯამი	154.90767

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა"-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-1-1

ГКТП-2500-10/6 კვ ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის საძირკვლის მოწყობის სამშენებლო სამუშაოებზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით	$მ^3$	4.24	2.00	8.48
2	გრუნტის დატვირთვა ხელით ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	4.24	1.00	4.24
3	გრუნტის გადატანა 5 კმ-ზე	ტ	8.268	1.00	8.27
4	რ/ბეტონის საძირკვლის ფილის მოწყობა B20 კლასის ბეტონით	$მ^3$	8.50	5.00	42.50
	ჯამი				**63.49**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-1-2

ГКТП-2500-10/6 კვ ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის მონტაჟზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	ГКТП-2500-10/6 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის მონტაჟი	ც	1.0	2950.00	2950.00
2	ОПНп-10 ტიპის გადამეტძაბვის შემზღუდველის მონტაჟი	ც	3.0	50.00	150.00
3	VD-4 ტიპის ვაკუუმური ამომრთველის მონტაჟი	ც	1.0	100.00	100.00
4	630 ა გამთიშველის მონტაჟი ერთი დამიწების დანით	ც	2.0	100.00	200.00
5	(10 კვ Ктт=150/5 А) დენის ტრანსფორმატორის მონტაჟი	ც	3.0	50.00	150.00
6	ZX-123 (დეშუნტირებით) ტიპის მიკროპროცესული რელეს მონტაჟი	ც	2.0	185.00	370.00
7	2500 კვა სიმძლავრის ტრანსფორმატორის მონტაჟი	ც	1.0	1850.00	1850.00
	ჯამი				**5770.00**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-1-3

ГКТП-2500-10/6 კვ ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის დანადგარების ღირებულებაზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	ГКТП-2500-10/6 კვ ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგური დანადგარების გარეშე	კომპლ.	1.0	29000.00	29000.00
2	გადამეტძაბვის შემზღუდველის ОПН-10	ც	3.0	200.00	600.00
3	ვაკუმური ამომრთველი VD-4 ტიპის (ძაბვის და დენური კოჭებით) (630 A; 10 kV)	ც	1.0	8600.00	8600.00
4	გამთიშველი (630 A) ერთი დამიწების დანით	ც	2.0	1500.00	3000.00
5	დენის ტრანსფორმატორი (10 kV, KTT=150/5 A)	ც	3.0	500.00	1500.00
6	ZX-123 (დეშუნტირებით) ტიპის მიკროპროცესორული რელე	ც	2.0	4500.00	9000.00
7	ძალოვანი ტრანსფორმატორი ТМГ-2500 kVA (10/6 kV)	ც	1.0	97000.00	97000.00
	ჯამი				**148700.00**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-1-4

კსქ-ს სატრანსფორმატოროს დამიწების კონტურის მოსაწყობად გრუნტის დამუშავებაზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	გრუნტის დამუშავება ხელით	$მ^3$	8.40	2.00	16.80
2	გრუნტის უკან ჩაყრა ხელით თხრილში	$მ^3$	8.40	1.00	8.40
3	უკან ჩაყრილი გრუნტის დატკეპვნა	$მ^3$	8.40	1.00	8.40
	ჯამი				**33.60**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-1-5

კსქ-ს სატრანსფორმატოროს დამიწების კონტურის მონტაჟზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	ვერტიკალური დამამიწებლის მოსწყობა 16 მმ	ც	14.0	1.00	14.00
2	ჰორიზონტალური დამამიწებლის მოწყობა ზოლოვანით 40X4 მმ	გრძ.მ.	28.0	1.00	28.00
3	ჰორიზონტალური დამამიწებლის მოწყობა ზოლოვანით 25X4 მმ	გრძ.მ.	32.0	1.00	32.00
4	ვერტიკალური დამამიწებელი ღერო Φ16 მმ	გრძ.მ.	43.69	2.00	87.38
5	ჰორიზონტალური დამამიწებელი ზოლოვანა 25X4 მმ	გრძ.მ.	42.0	2.00	84.00
6	ჰორიზონტალური დამამიწებელი ზოლოვანა 40X4 მმ	გრძ.მ.	42.0	2.00	84.00
7	შედუღების ელექტროდი	ც	30.0	0.10	3.00
8	ანტიკოროზიული საღებავი	კგ	0.5	16.40	8.20
	ჯამი				**340.58**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო საობიექტო-ხარჯთაღრიცხვა № 2-2

6 კვ ძაბვის გამანაწილებელი უჯრედის (სატუმბო სადგურში) მონტაჟზე

№ რ/მ	სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის (ხარჯთაღრიცხვის) ნომერი	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	ღირებულება ათ. ლარი
1	2	3	4
1	2-2-1	6 კვ ძაბვის გამანაწილებელი უჯრედის (სატუმბო სადგურში) მონტაჟზე	0.13300
2	2-2-2	6 კვ ძაბვის გამანაწილებელი უჯრედის (სატუმბო სადგურში) დანადგარების ღირებულებაზე	0.41200
3	2-2-3	გამანაწილებელი უჯრედის დამიწების კონტურის მოსაწყობად გრუნტის დამუშავებაზე	0.01800
4	2-2-4	გამანაწილებელი უჯრედის დამიწების კონტურის მონტაჟზე	0.10620
		ჯამი	**0.66920**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-2-1

6 კვ ძაბვის გამანაწილებელი უჯრედის (სატუმბო სადგურში) მონტაჟზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	KCO ტიპის შიდა დადგმულობის კამერა 6 კვ	კომპ.	6.0	5.00	30.00
2	ძალოვანი ტრანსფორმატორი TM-40 kVA (6/0.4 kV) მონტაჟი	ც	1.0	20.00	20.00
3	სამფაზა ავტომატური ამომრთველი 63 A მონტაჟი	ც	1.0	10.00	10.00
4	დენის ტრანსფორმატორი (0,4 kV, KTT=75/5 A) მონტაჟი	ც	3.0	1.00	3.00
5	ელექტროენერგიის სამფაზა მრიცხველი 0,4 kV მონტაჟი	ც	1.0	10.00	10.00
6	0.4 kV ძაბვის საკონდესატორო ბატარეა 5 kVAR (სამფაზა ავტომატური ამომრთველით 16 A) მონტაჟი	ც	3.0	20.00	60.00
	ჯამი				**133.00**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-2-2

6 კვ ძაბვის გამანაწილებელი უჯრედის (სატუმბო სადგურში) დანადგარების ღირებულებაზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	KCO ტიპის შიდა დადგმულობის კამერა (6 kV)	კომპლ.	6.0	5.00	30.00
2	გადამეტძაბვის შემზღუდველის ОПН-6	ც	18.0	1.00	18.00
3	ვაკუმური ამომრთველი VD-4 ტიპის (ძაბვის და დენური კოჭებით) (630 A; 10 kV)	ც	4.0	5.00	20.00
4	გამთიშველი (630 A) ერთი დამიწების დანით	ც	10.0	5.00	50.00
5	სამფაზა ძაბვის ტრანსფორმატორი დნობადი მცველებით (10 A)	ც	1.0	5.00	5.00
6	დენის ტრანსფორმატორი (10 kV, KTT=200/5 A)	ც	3.0	5.00	15.00
7	დენის ტრანსფორმატორი (10 kV, KTT=75/5 A)	ც	6.0	5.00	30.00
8	6 kV ძაბვის საკონდესატორო ბატარეა 160 kVAR (სამფაზა ავტომატური ამომრთველით 16 A)	კომპლ.	3.0	50.00	150.00

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-2-3

გამანაწილებელი უჯრედის დამიწების კონტურის მოსაწყობად გრუნტის დამუშავებაზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	გრუნტის დამუშავება ხელით	$მ^3$	4.5	2.00	9.00
2	გრუნტის უკან ჩაყრა ხელით თხრილში	$მ^3$	4.5	1.00	4.50
3	უკან ჩაყრილი გრუნტის დატკეპნა	$მ^3$	4.5	1.00	4.50
	ჯამი				**18.00**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-2-4

გამანაწილებელი უჯრედის დამიწების კონტურის მონტაჟზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	ჰორიზონტალური დამამიწებლის მოწყობა ზოლოვანით 40X4 მმ	გრძ.მ.	15.0	1.00	15.00
2	ჰორიზონტალური დამამიწებლის მოწყობა ზოლოვანით 25X4 მმ	გრძ.მ.	20.0	1.00	20.00
3	ჰორიზონტალური დამამიწებელი ზოლოვანა 25X4 მმ	გრძ.მ.	20.0	2.00	40.00
4	ჰორიზონტალური დამამიწებელი ზოლოვანა 40X4 მმ	გრძ.მ.	15.0	2.00	30.00
5	შედუღების ელექტროდი	ც	10.0	0.10	1.00
6	ანტიკოროზიული საღებავი	კგ	0.1	2.00	0.20
	ჯამი				**106.20**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო საობიექტო-ხარჯთაღრიცხვა № 2-3

110/35/10 კვ ძაბვის ქვ/ს „ახალქალაქი“ ეგხ „ორჯა“-ს მონტაჟზე

№ რ/მ	სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის (ხარჯთაღრიცხვის) ნომერი	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	ღირებულება ათ. ლარი
1	2	3	4
1	2-3-1	110/35/10 კვ ძაბვის ქვ/ს „ახალქალაქი“ ეგხ „ორჯა“-ს სამონტაჟო სამუშაოებზე	0.02000
2	2-3-2	110/35/10 კვ ძაბვის ქვ/ს „ახალქალაქი“ ეგხ „ორჯა“-ს დანადგარების ღირებულებაზე	0.10000
		ჯამი	**0.12000**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-3-1

110/35/10 კვ მაბვის ქვ/ს „ახალქალაქი“ ეგხ „ორჯა“-ს სამონტაჟო სამუშაოებზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	PT-40/50 ტიპის რელეს მონტაჟი	ც	2.0	10.00	20.00
	ჯამი				**20.00**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-3-2

110/35/10 კვ ძაბვის ქვ/ს „ახალქალაქი“ ეგხ „ორჯა“-ს დანადგარების ღირებულებაზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	PT-40/50 ტიპის რელე	ც	2.0	50.00	100.00
	ჯამი				100.00

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო საობიექტო-ხარჯთაღრიცხვა № 2-4

10 kV ძაბვის ეგხ „ორჯა“-ს რეაბილიტაციაზე

№ რ/მ	სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის (ხარჯთაღრიცხვის) ნომერი	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	ღირებულება ათ. ლარი
1	2	3	4
1	2-4-1	10 kV ძაბვის ეგხ „ორჯა“-ს სარეაბილიტაციო სამუშაოებზე	30.724
		ჯამი	**30.72370**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-4-1

10 kV ძაბვის ეგხ „ორჯა“-ს სარეაბილიტაციო სამუშაოებზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	AC-35/6.2 მარკის ფოლად ალუმინის სადენის დაკიდება	კმ	9.32	2.00	18.64
2	ფოლადის ალუმინის სადენი AC-35/6.2	მ	28800	1.00	28800.00
3	სამონტაჟო სადენი Ф3.2 მმ	მ	930.6	0.10	93.06
4	იზოლატორი ШС10-Г	ც	90.0	20.00	1800.00
5	ხუფი К-6	ც	90.0	0.10	9.00
6	მომჭერი ПС-2-1	ც	30.0	0.10	3.00
	ჯამი				**30723.70**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო საობიექტო-ხარჯთაღრიცხვა №2-5

10/6 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზის მშენებლობაზე

№ რ/მ	სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის (ხარჯთაღრიცხვის) ნომერი	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	ღირებულება ათ. ლარი
1	2	3	4
1	2-5-1	10/6 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზის სამშენებლო სამუშაოებზე	0.36865
2	2-5-2	10/6 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზის სამონტაჟო სამუშაოებზე	6.48400
		ჯამი	**6.85265**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-5-1

10/6 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზის სამშენებლო სამუშაოებზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ციცხვთ 0.5 $მ^3$	$მ^3$	8.8	5.00	44.00
2	ქვიშის საგების მოწყობა ერთი კაბელის ქვეშ	გრძ.მ.	20.0	2.00	40.00
3	ქვიშის საგების მოწყობა ერთი კაბელის ქვეშ	გრძ.მ.	20.0	2.00	40.00
4	გრუნტის უკუჩაყრა მექანიზმით	$მ^3$	7.4	5.00	37.00
5	უკან ჩაყრილი გრუნტის დატკეპნვა	$მ^3$	7.4	5.00	37.00
6	ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	1.4	5.00	7.00
7	გრუნტის გადატანა 5 კმ-ზე	ტ	2.73	5.00	13.65
8	პლასტმასის 200/175 მმ გოფრირებული მილის ჩადება თხრილში	გრძ.მ.	30.0	5.00	150.00
	ჯამი				**368.65**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-5-2

10/6 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზის სამონტაჟო სამუშაოებზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	A2XSEY 3X120 RM/16 მარკის ალუმინის სამძარღვა კაბელის მონტაჟი	გრძ.მ.	44.0	40.00	1760.00
2	A2XSEYBY 3X120 RM/25 მარკის ალუმინის სამძარღვა კაბელის შეთრევა მილში	გრძ.მ.	6.0	10.00	60.00
3	გარე დადგმულობის საკაბელო დამაბოლოებელი ქურო 95-120 მმ^2 POLT-12C/3XI-H1-L12A მონტაჟი	ც	3.0	200.00	600.00
4	გარე დადგმულობის საკაბელო დამაბოლოებელი ქურო 95-120 მმ^2 POLT-12C/3XO-HI-L12A მონტაჟი	ც	1.0	200.00	200.00
5	დამამიწებელი სადენის მისაერთებელი არმატურა EAKT 1656 მონტაჟი	ც	4.0	1.00	4.00
6	მოკალავებული ბუნიკი 120 მმ^2-ს მონტაჟი	ც	22.0	1.00	22.00
7	A2XSEY 3*120 RM/25 მარკის ალუმინის სამძარღვა კაბელი	გრძ.მ.	50.0	60.00	3000.00

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო საობიექტო-ხარჯთაღრიცხვა №2-6

10 კვ ძაბვის ეგხ-ს მშენებლობაზე

№ რ/მ	სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის (ხარჯთაღრიცხვის) ნომერი	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	ღირებულება ათ. ლარი
1	2	3	4
1	2-6-1	10 კვ ძაბვის ეგხ-ს სამშენებლო სამუშაოებზე	5.60800
2	2-6-2	10 კვ ძაბვის ეგხ-ს სამონტაჟო სამუშაოებზე	66.28716
		ჯამი	71.89516

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-6-1

10 კვ ძაბვის ეგხ-ს სამშენებლო სამუშაოებზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	კუთხური ორდგარიანი რკ./ბ. А10-2 საყრდენების მონტაჟი	ც	5.0	150.00	750.00
2	კუთხური ორდგარიანი რკ./ბ. УП10-2 საყრდენების მონტაჟი	ც	8.0	150.00	1200.00
3	შუალედური რკ/ბ П10-3 ტიპის საყრდენის მონტაჟი	ც	28.0	100.00	2800.00
4	შუალედური რკ/ბ П10-4 ტიპის საყრდენის მონტაჟი	ც	1.0	100.00	100.00
5	კუთხური სამდგარიანი რკ./ბ. УА10-2 საყრდენების მონტაჟი	ც	1.0	200.00	200.00

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა“-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენა

წინასწარი სატენდერო ხარჯთაღრიცხვა №2-6-2

10 კვ ძაბვის ეგხ-ს სამონტაჟო სამუშაოებზე

NN	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	გამთიშველის დამონტაჟება	ც	2.0	250.00	500.00
2	გადამეტძაბვის შემზღუდველის ОПН-10-ის მონტაჟი	ც	6.0	50.00	300.00
3	АС-70/11 მარკის ფოლად ალუმინის სადენის დაკიდება	კმ	2.482	2.00	4.96
4	რ/ბ საყრდენების დამიწების კონტურის მოწყობა	კომპ.	50.0	5.00	250.00
5	ფოლადის ალუმინის სადენი АС-70/11	მ	7670.0	5.00	38350.00
6	სამონტაჟო სადენი Ф2.8 მმ	მ	130.0	0.10	13.00
7	დამამიწებელი სადენი ЗП1	მ	269.0	0.10	26.90
8	იზოლატორი ШС10-Г	ც	685.0	20.00	13700.00
9	ხუფი К-6	ც	685.0	0.10	68.50
10	მომჭერი ПС-2-1	ც	213.0	0.10	21.30
11	მომჭერი ПА-1-1	ც	525.0	0.10	52.50
12	გამთიშველი РЛНДЗА-10	ც	2.0	3500.00	7000.00
13	გადამეტძაბვის შემზღუდველის ОПН-10	ც	30.0	200.00	6000.00
	ჯამი				**66287.16**

სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი

- სამუშაოების შესრულება ვადა - ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეში (კლიმატური პირობების გათვალისწინებით).
- სამუშაოების შესრულების ადგილი - ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

კალენდარული გრაფიკი

რიგ #	სამუშაოს დასახელება	ღირებულება ათ ლარი	დღეები		
			30 დღე	30-60 დღე	60-90 დღე
1	ГКТП-2500-10/6 კვ ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	188.2747821	188.2747821		
2	6 კვ ძაბვის გამანაწილებელი უჯრედის (სატუმბო სადგურში) მონტაჟი	0.8133456	0.4066728	0.4066728	
3	110/35/10 კვ ძაბვის ქვ/ს „ახალქალაქი" ეგხ „ორჯა"-ს მონტაჟი	0.145848	0.048616	0.048616	0.048616
4	10 kV ძაბვის ეგხ „ორჯა"-ს რეაბილიტაცია	37.3415849	12.4471949	12.4471949	12.4471949
5	10/6 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზის მშენებლობა	8.3287108	2.7762369	2.7762369	2.7762369
6	10 კვ ძაბვის ეგხ-ს მშენებლობა	87.3813774	29.1271258	29.1271258	29.1271258
	ჯამი:	322.28565	233.0806615	44.8058464	44.3991736

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

შენიშვნა:

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მოსაზრება (განმარტებითი ბარათი - სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის შესახებ) და კალენდარული გრაფიკი აღნიშნული ფორმით.
- პრეტენდენტმა გეგმა გრაფიკის შევსებისას თითოეულ გრაფაში უნდა მიუთითოს ამა თუ იმ თვეში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება (ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად), ხოლო ჯამის გრაფაში კი სამუშაობის ჯამი თვეების მიხედვით.
- პრეტენდენტი დანართი ორის წარმოდგენისას ავტომატურად ეთანხმება ამ დანართში მოცემულ ყველა პუნქტს, ანერს ხელს და ამოწმებს ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- აღნიშნული დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

განმარტებითი ბარათი

სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია

შპს „ქსელმშენის" ტექნიკური სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მდებარე „დილისკა-პტენა-ჩუნჩხა"-ს სატუმბო სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენის სამუშაოების პროექტი, რის შედეგადაც შედგა სამოქმედო გეგმა ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად, რომლის მიხედვითაც დაცულია ტექნოლოგიური ციკლი, მოქმედი სტანდარტები, ნორმები, ინსტრუქციები და რეკომენდაციები;

პროექტის მოკლე მიმოხილვა

სამშენებლო ობიექტი განთავსებულია საქართველოში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფელ დილისკას მიმდებარე ტერიტორიაზე, „შპს „საქართველოს მელიორაცია"-ს კუთვნილ ტერიტორიაზე.

საპროექტო 10/6 kV ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზის ტრასის ჯამური სიგრძე შეადგენს 2500 მეტრს. აქედან: 2480 მეტრი 10 kV ძაბვის საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზი, 5 მეტრი 10 kV ძაბვის საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზი, 15 მეტრი 6 kV ძაბვის საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზი.

საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზის მშენებლობა გათვალისწინებულია AC-70/11 ფოლად-ალუმინის სადენით, ხოლო საკაბელო A2XSEY 3X120 RM/16 ალუმინის სამძარღვა კაბელთ.

ძრავების რეაქტიული სიმძლავრის კომპენსირებისათვის საჭიროა 495 kVAR სიმძლავრის საკონდენსატორო ბატარეა, ხოლო 2500 kVA სიმძლავრის ძალოვანი ტრანსფორმატორის დანაკარგების კომპენსირებისათვის 20 kVAR კონდენსატორული დანადგარი.
ელექტროგადაცემის ხაზის მშენებლობისთვის გათვალისწინებულია 43 ცალი რკინაბეტონის საყრდენის მონტაჟი, ასევე გათვალისწინებულია 7 ცალი არსებული რკინაბეტონის საყრდენის გამოყენება.
სატრანსფორმატორო ქვესადგურში (ГКТП) გათვალისწინებულია ТМГ-2500-10/6-У1 ტიპის ძალოვანი ტრანსფორმატორის მონტაჟი. ასევე გათვალისწინებულია საკუთარის მოხმარების ТМ-40-6/0.4 ტიპის ძალოვანი ტრანსფორმატორის მონტაჟი. ძალოვანი ტრანსფორმატორის 10 kV ძაბვის მხარეს გათვალისწინებულია VD4 ტიპის ვაკუუმური ამომრთველების მონტაჟი.

დროებითი სამუშაოები შპს „ქსელმშენი" უზრუნველყოფს სამშენებლო ობიექტზე პერსონალისთვის საკვების, წყლის შეძენას და მიწოდებას, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება დროებითი საწყობის მშენებლობა და შენახვა. შესრულებული იქნება ყველა საჭირო სამუშაო სპეციფიკაციების შესაბამისად.
მოსამზადებელ სამუშაოების დროს განხორციელდება ტრასის განვლადობის შემოწმება, ტრასასთან მისასვლელი გზების შერჩევა, ტრასის გამოკვლევა და დაკვალვა;
მიწის სამუშაოები მოიცავს ყველა სახის გრუნტის ამოღებასა და ყრილს, მისასვლელ და საექსპლუატაციო გზებს;
ბეტონის სამუშაოები მოიცავს მწირი (მჭლე) და მონოლითური ბეტონის და რკინაბეტონის სამუშაოებს.
არმატურის სამუშაოები მოიცავს ყველა სამუშაოს ფოლადის გლუვი და პერიოდული პროფილის ღეროებით და ბადეებით რკინაბეტონის არმირებისათვის.
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მოიცავს:

1. ტრასაზე საყრდენების მიტანას, რომელიც მოხდება სამშენებლო სტანდარტების დაცვით, ავტოტრანსპორტით;
2. საყრდენების აწყობას უშუალოდ დაყენების ადგილზე და მიწის სამუშაოების შესრულებას - მექანიზმებით.
3. სადენის დაჭიმვას, რომელიც მოხდება ჯალამბარით, ხოლო სადენის ჩაღუნვის ისარი განისაზღვრება ტიპიური სამონტაჟო ცხრილებით.

გაშვება-გაწყობითი სამუშაოების შესრულებისას მოხდება ხაზის დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში აღმოჩენილი დეფექტების ლიკვიდაცია.
სამშენებლო მოედნის დასუფთავება სამუშაოთა დასრულების შემდეგ კონტრაქტორი დაასუფთავებს ყველა სამუშაო ადგილს სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის გარეთ. აღებული და გატანილი იქნებაზედმეტი გრუნტი და მასალები.

უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას, შპს „ქსელმშენი" თითოეული სამუშაოსათვის უზრუნველყოფს ისეთი უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის

უვნებელი სამუშაო პირობებს, რის შესაძლებლობასაც იძლევა საქმიანობის სასიათი. დაცული იქნება სამუშაოთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა წესი და ინსტრუქცია, რათა შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უბედური შემთხვევები, მუშა პერსონალის და სხვა ადამიანთა ზარალი.
ყველა სამუშაო შესრულდება იმ ადგილობრივი და სახელმწიფო კანონების, კოდექსების, მოთხოვნებისა და დადგენილებების შესაბამისად, რომლებიც ეხება ადამიანთა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობას.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მოხდება გამოსაყენებელი მასალების შეთანხმება დამკვეთთან.

ყველა სხვა სამუშაო რომელიც არ არის მითითებული განმარტებით ბარათში, შპს „ქსელმშენის" მიერ შესრულებული იქნება პროექტის სრული დაცვით.

შპს „ქსელმშენის" დირექტორი

დავით ბეგოიძე

დანართი №3

სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორების პირობები და ვადები

შპს „ქსელმშენი" — **10 თებერვალი 2018 წელი**

(პრეტენდენტის დასახელება) — (შევსების თარიღი)

- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების საფუძველზე.
- მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
- მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოსა და ფარული სამუშაოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტი, ასევე სამშენებლო ნახაზები, საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის კი დამატებით აკრედიტირებული საექსპერტო ორგანიზაციისა ან სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან აკრედიტირებული საექსპერტო ორგანიზაციის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
- მიღება-ჩაბარების აქტი დგება მხოლოდ სამუშაოს ან მისი ნაწილის დასრულების შემდეგ.
- სამუშაოს მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება სამუშაოს შესრულების ადგილზე.
- შუალედური ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, გადასარიცხი თანხიდან პრეტენდენტს დაექვითება თანხის 5% და გაცემული ავანსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასაქვითი თანხის ოდენობა, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს ***10 (ათი) სამუშაო*** დღისა (გამოქვითული 5 %-ის ანაზღაურების საკითხი იხილეთ დანართ N5-ში).
- საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში (ზემოაღნიშნულ პუნქტში მითითებული დაქვითვების გათვალისწინებით), ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შედეგად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს ***10 (ათი) სამუშაო*** დღისა.
- თუ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შეჩერებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იგი თავისუფლდება საჯარიმო სანქციებისგან (პირგასამტეხლოსგან).
- სამუშოს დასრულების ვადები კავშირში არაა ჩასატარებელი ექსპერტიზის ვადებთან. **საავანსო ანგარიშსწორება:**
